ნასყიდობის ხელშეკრულება

საქართველო

ქ. თბილისი. 5 თებერვალი 2010წ

ჩვენ, ერთი მხრივ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, (შემდგომში "გამყიდველი") – წარმოდგენილი იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს თანამშრომლის – დიმიტრი კალანდაძის სახით, მოქმედი საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 8 იანვრის №21/1677/1-9 მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, და მეორე მხრივ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირი – საქართველოს რაბბის კავშირს (შემდგომში "მყიდველი") წარმოდგენილი ამავე კავშირის წარმომადგენლის მერაბ აბდუშელიშვილის (პირადი №01007002815) სახით მოქმედი საქართველოს რაბბის კავშირის პრეზიდენტის გიორგი ნიშარაძის მიერ გაცემული მინდობილობის (მინდობილობა №80/02) საფუძველზე, ვხელმძღვანელობთ რა, „სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" საქართველოს კანონით; საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 20.09.07წ №1-1/1415 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის წესით პრივატიზების შესახებ დებულებით"; საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 22 დეკემბრის №934 განკარგულებით, წინამდებარე ხელშეკრულებას ვდებთ შემდეგზე:

მუხლი 1. *ხელშეკრულების საგანი*

1.1. "გამყიდველი" მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე გადასცემს, ხოლო "მყიდველი" იღებს პირობადებულ საკუთრებაში ქ. თბილისში, ნაცვლიძის IV მ/რაიონში მდებარე 30690 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.14.01.001.054) (შემდგომში წოდებული, როგორც „ქონება").
1.2. „ქონების" საპრივატიზაციო ღირებულება შეადგენს სიმბოლურად 1 (ერთი) აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს.

მუხლი 2. *მხარეთა უფლება-მოვალეობანი*

2.1 "მყიდველი" ვალდებულია:
ა) საპრივატიზებო ღირებულება გადაიხადოს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარულ დღეში.
ბ) ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 წლის განმავლობაში განახორციელოს გადაცემულ „ქონებაზე" სათამაშო და საგარჯიშო მოედნების მოწყობა შესაბამისი ინფრასტრუქტურით (ტრიბუნა, გასახდელები, საშხაპეები, სამედიცინო მომსახურების ცენტრი) და პროფილის შენარჩუნება განუსაზღვრელი ვადით.

2.2 „მყიდველი" ვალდებულია „ქონებაზე" საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის შემდეგ, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, დაიცვას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და მათ შესრულებაზე გამყიდველს წარუდგინოს ინფორმაცია წელიწადში ერთხელ და ასევე გამყიდველის მოთხოვნისთანავე შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაციის თანხლებით.

2.3 "გამყიდველი" ვალდებულია "მყიდველის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო ღირებულების სრულად დაფარვის შემდეგ, 30 კალენდარული დღის ვადაში დაუდასტუროს საკუთრების უფლება, მის მიერ გამოსყიდულ ქონებაზე წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულების პირობით.

2.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შესრულებულად ითვლება გამყიდველის მიერ მათი დადასტურების მომენტიდან.

2.5 მყიდველის მიერ ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების დადასტურებას გამყიდველი განახორციელებს მყიდველის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე.

2.6 ხელშეკრულების 2.1 მუხლის „ბ" ქვეპუნქტით ნაკისრი ვალდებულების დადასტურება მოხდება მყიდველის მიერ წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე, რომელიც მომზადებულ უნდა იქნას სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს" ან წინამდებარე აუდიტორული კომპანიების ა) „პრაისვოთერჰაუსკუპერსი"-ს, ბ) „დელოიტი"-ს, გ) „ქეიპიემჯი"-ს, დ) „ერნსტ & იანგი"-ს, ე) „გრანტ თორნტონი"-ს, ვ) „ბიდიოუ სითი ჰეივარდი"-ს, ზ) „ბეიქერ ტილი"-ს, თ) „სმიზ & ვილიამსონი"-ს, ი) „თენორ გრუპი"-ს, „ფიქეიეფი"-ს მიერ.

მუხლი 3. ხელშეკრულების განსაკუთრებული პირობები

3.1 ქონებაზე "მყიდველს" საკუთრების უფლება გადაეცემა „ქონების" საპრივატიზებო ღირებულების სრულად დაფარვის შემდგომ, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემისა და შესაბამისი რეგისტრაციის საფუძველზე.

3.2 მყიდველს ქონებაზე საკუთრების უფლების დადასტურებამდე, არა აქვს უფლება გადაცემული ქონება გამყიდველის შეთანხმების გარეშე განკარგოს, გასცეს სარგებლობის უფლებით ან სხვაგვარად დატვირთოს იგი.

3.3 „გამყიდველის" მიერ მყიდველზე საკუთრების უფლების დადასტურების შემდეგ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, მყიდველს უფლება

არა აქვს განკარგოს ან სხვაგვარად დატვირთოს „ქონება", გამყიდველის თანხმობის გარეშე. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, მყიდველის მიერ პრივატიზებული ქონების გასხვისების შემთხვევაში, მყიდველი ვალდებულია ქონება ახალ მესაკუთრეზე გაასხვისოს მხოლოდ გამყიდველის თანხმობით, იმავე პირობებით, რაც გათვალისწინებულია მოცემულ ხელშეკრულებაში და ასევე იმ პირობით, რომ ახალი მესაკუთრე ჩაენაცვლება „მყიდველს" წინამდებარე ხელშეკრულებაში. აღნიშნულის შემდეგ ქონების გასხვისების შესახებ ასევე წერილობით უნდა ეცნობოს "გამყიდველს".

3.4 ქონების ნაწილობრივ გასხვისების შემთხვევაში ახალი მესაკუთრე „მყიდველთან" ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის.

3.5 მყიდველი ვალდებულია ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისას ასევე დაარეგისტრიროს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარუდგინოს „გამყიდველს".

მუხლი 4. სანქციები და ხელშეკრულების მოშლა

4.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მყიდველი იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მითითებება დარღვევის გამოსწორების ვადა და კირბასამტეხლოს ოდენობა.

4.2. კირბასამტეხლო განისაზღვრება შემდეგნაირად:

4.2.1 საკრივატიზებო ღირებულების გადაუხდელობის შემთხვევაში, გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

4.2.2 მყიდველის მიერ ხელშეკრულების 2.1 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, გამყიდველი მყიდველს გადასცემს დარღვევის ხასიათის აღმწერ წერილობით შეტყობინებას და მისცემს მყიდველს დამატებით ვადას დარღვევის გამოსასწორებლად და ამასთან მყიდველს დაეკისრება კირბასამტეხლო 300 (სამასი) ლარის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

4.2.3 მყიდველის მიერ ხელშეკრულების 2.2 მუხლით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში გამყიდველი მყიდველს გადასცემს დარღვევის ხასიათის აღმწერ წერილობით შეტყობინებას და მისცემს მყიდველს დამატებით ვადას დარღვევის გამოსასწორებლად და ამასთან მყიდველს დაეკისრება კირბასამტეხლო 100 (ასი) ლარის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

4.2.4 მყიდველის მიერ ხელშეკრულების 3.5 პუნქტით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, გამყიდველი მყიდველს გადასცემს ღარღვევის ხასიათის აღმწერ წერილობით შეტყობინებას და მისცემს მყიდველს დამატებით ვადას ღარღვევის გამოსასწორებლად და ამასთან მყიდველს დააკისრებს პირგასამტეხლოს 100 (ასი) ლარის ოდენობით ღარღვევის ღღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე

4.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევა ან/და დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა გამყიდველის მიერ განიხილება ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის საფუძვლად. ასეთი გარემოების დადგომის შემთხვევაში მყიდველს არ უბრუნდება გადახდილი თანხები და არ აუნაზღაურდება გაწეული დანახარჯები.

4.4 მყიდველს, „ძონების“ გამოსასყიდი ღირებულების გადახდის ვადის ღარღვევისა ან/და დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობის შემთხვევაში – არ გადაეცემა საკუთრების უფლება ძონებაზე.

4.5 მყიდველს მის მიერ ვალდებულებათა შესრულების ვადის დადგომამდე ხელშეკრულების შესრულებაზე არასაპატიო მიზეზით უარის თქმის შემთხვევაში, მყიდველს დაეკისრება ერთჯერადი პირგასამტეხლო 10 000 (ათი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით ეროვნულ ვალუტაში.

მუხლი 5. დაუძლეველი ძალა

5.1. ხელშეკრულების მიზნებისათვის დაუძლეველი ძალა და დაუძლეველი ძალის გარემოება ნებისმიერ მხარესთან მიმართებაში ნიშნავს ისეთ ნებისმიერ შემთხვევას ან გარემოებას, რომელიც ასეთი მხარის კონტროლის ფარგლებს მიღმაა და რომელიც, მიუხედავად მხარის ყველა გონივრული მცდელობისა მაინც ვერ იქნა თავიდან აცილებული ან მოგვარებული და რომელიც გადაიზრდება ან გამოიწვევს ასეთი მხარის მიერ ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობას.

5.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის დაუძლეველ ძალად მიიჩნევა ნებისმიერი გარემოება, რომელიც საერთაშორისო პრაქტიკის საფუძველზე აღიარებულია „ფორს-მაჟორულ“ გარემოებად.

5.3. თითოეულ მხარეს ეკისრება მის მიერ ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არასათანადო შესრულება და ამის საფუძველზე ხელშეკრულების თანახმად არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა თუ აღნიშნული ვალდებულების შესრულების სრული ან ნაწილობრივი შეუძლებლობა დამდგარია დაუძლეველი ძალის გარემოებების ან მათგან გამომდინარე შედეგების გამო.

5.4 დაუძლეველი ძალის დროს მხარემ, რომელზეც იმოქმედებს ასეთი გარემოება, რაც შეიძლება სწრაფად უნდა შეატყობინოს მეორე

მხარეს ასეთი გარემოების შესახებ და მიაწოდოს ასეთი გარემოების არსებობის დამამტკიცებელი სათანადო საბუთი და მისი ხანგრძლივობის სავარაუდო ვადა და შედეგები. ამასთან ყველა მხარემ უნდა:

ა) გამოიყენოს მთელი ძალისხმევა, რათა თავიდან აიცილონ, შეამცირონ ან შეასუსტონ დაუძლეველი ძალის გარემოებით გამოწვეული შედეგები;
ბ) გამოიყენონ მთელი ძალისხმევა, რათა უზრუნველყონ ხელშეკრულების პირობების ჩვეულებრივ რეჟიმში შესრულება დაუძლეველი ძალის ნებისმიერი გარემოების შეწყვეტის შემდეგ და უნდა შეასრულონ თავიანთი ვალდებულებები, რამდენადაც ეს იქნება შესაძლებელი ორივე მხარისათვის;
გ) თავისი შესაძლებლობის ფარგლებში მიიღონ ყველა ზომა იმისათვის, რომ შეამცირონ მეორე მხარისადმი ზარალის ოდენობა, რომელიც გამოწვეულია დაუძლეველი ძალით.

6. შეტყობინებები და ენა

6.1 ნებისმიერი შეტყობინება და მიმოწერა მხარეებს შორის უნდა განხორციელდეს წერილობით ქართულ ენაზე და გადაცემული უნდა იქნეს (I) პირადად, (II) ფაქსის მეშვეობით, (III) დაზღვეული ან შეკვეთილი წერილის მეშვეობით, ან (IV) კურიერის მეშვეობით, ქვემოთ მითითებულ მისამართებზე ან სხვა მისამართზე წინასწარი შეტყობინებით.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო

მის.: ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ.№12

არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირი – საქართველოს რაგბის კავშირი

მის.: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 49ა

6.2 თითოეული მხარე მისამართის შეცვლის შემთხვევაში ვალდებულია აცნობოს აღნიშნულის თაობაზე მეორე მხარეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ძველ მისამართზე გაგზავნილი შეტყობინება მისულად ჩაითვლება, მისი აღნიშნულ მისამართზე ადრესატის მოუძიებლობის გამო უკან დაბრუნების მიუხედავად.

6.3 შეტყობინებები მიღებულად ჩაითვლება ადრესატი მხარის მიერ: (I) შეტყობინების ჩაბარების დღეს, თუ მისი გადაცემა მოხდა პირადად ან კურიერის მეშვეობით ან (II) ფაქსით გაგზავნის შემთხვევაში - ფაქსის გაგზავნის დღეს, იმ პირობით, რომ ფაქსის მიღების დასტური მიუვა გამგზავნს და მოთხოვნის შემთხვევაში წარედგინება ადრესატს, ან (III) შეკვეთილი ფოსტით შეტყობინების გაგზავნის შემთხვევაში - მიღების ქვითარზე ხელის მოწერისას.

6.4 ფოსტის თანამშრომლის მიერ შეკვეთილი წერილის აღრესატისათვის გადაცემის ორი უშედეგო ცდის შემდეგ მხარეს ეგზავნება სპეცშეტყობინება, სადაც განისაზღვრება ხუთ დღიანი ვადა ფოსტაში შეტყობინების გასაცნობად. აღნიშნული ვადის უშედეგოდ გასვლისთანავე შეტყობინება ჩაითვლება მისულად.

მუხლი 7. სხვა დებულებანი

7.1 დასაშვებია მხარეთა შორის დამატებითი შეთანხმებები, რაც უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით და დადასტურდეს ამისათვის უფლებამოსილი პირების ხელმოწერებით.

7.2 ხელშეკრულებიდან წარმოშობილი სადავო საკითხები განიხილება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

7.3 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერების ნოტარიული წესით დამოწმების მომენტიდან. სანოტარო წესით დამოწმებისათვის საჭირო ხარჯები დაიფარება „მყიდველის" მიერ.

7.4 ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივი და ქონებრივი შედეგები განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულებითა და საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით.

7.5 ხელშეკრულება შედგენილია 5 (ხუთი) ეგზემპლარად ქართულ ენაზე და თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

"გამყიდველი"	"მყიდველი"
საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – საქართველოს რაგბის კავშირი
ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ. №12 ხაზინის ერთიანი ანგარიში არასაბაზისახდო ცენტრალიზებული №200122900 სახელმწიფო ხაზინა 220101222 სახაზინო კოდი 302003307	მის.: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 49ა
დიმიტრი კალანდაძე	*მერაბ აბდუშელიშვილი*

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას ათი წლის ხუთ თებერვალს, მე, ლიანა ბუხრიკიძეს აფხაზეთის ა/რ ტყვარჩელის ნოტარიუსის შემცვლელი პირს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №114, მომმართეს: დიმიტრი კალანდაძემ და მერაბ აბდუშელიშვილმა მათ წარმოადგინეს <u>უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება (ხუთი ეგზემპლარი)</u> და მოითხოვეს მასზე თავისი ხელმოწერების სანოტარო წესით დამოწმება.

მე შევამოწმე მათი პირადობა მით მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად: დიმიტრი კალანდაძემ (დაბ. 31.07.1978წ. პ/მ №ა 0980468, პ №01017006019, გაც. 21.09.2006წ. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მთაწმინდა-კრწანისის სამსახურის მიერ, მცხ. ქ თბილისი, ლერმონტოვის ქ. №17) და მერაბ აბდუშელიშვილმა (დაბ. 02.06.1951წ. პ/მ №ბ 1082121, პ. №01007002815, გაც. 02.08.2007წ. სრს ვაკის სამს. მიერ, მცხ. ქ. თბილისი, გაბაშვილის ქ. №2) მომმართეს. მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მათი ნების გამოვლენის ნამდვილობაში.

გადახდილია სანოტარო მომსახურების ხარჯი: /20.00/ ოცი ლარი თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის ხარჯების შესახებ საქართველოს კანონის (II ივნისი, 1998წ. №1417 II ს) 29-ე მუხლისა. - 2 ლარი სანოტარო რეგისტრაციის საფასური, თანახმად "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის ხარჯების შესახებ" საქ. კანონის 31.1 მუხლისა.

აფხაზეთის ა/რ ტყვარჩელის
ნოტარიუსის შემცვლელი პირი

ლ. ბუხრიკიძე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N100100498
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	05.02.2010 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ლიანა ბუხრიკიძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. #114
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	96-46-73
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	79972034086910

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 66 19 18

ხელშეკრულება

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა (უფლებამონაცვლე სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტო) და ა(ა)იპ - საქართველოს რაგბის კავშირს შორის 2010 წლის 5 თებერვალს გაფორმებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

საქართველო, ქ. თბილისი 5 ოქტომბერი 2015 წელი

ერთი მხრივ, **სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო** (შემდგომში ,,გამყიდველი") წარმოდგენილი სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის შტატგარეშე მომუშავეს სალომე მესხიას (პირადი №01005030011) სახით, მოქმედი სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მიერ, 2015 წლის 13 იანვარს გაცემული №4/1456 მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და ფარგლებში,

და მეორე მხრივ, **ა(ა)იპ - საქართველოს რაგბის კავშირი** (ს.კ.**204874911**) (შემდგომში - ,,მყიდველი") წარმოდგენილი ბიძინა ბერიშვილის (პირადი №01010016482) სახით, ა(ა)იპ - საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის მიერ 2015 წლის 9 სექტემბერს გაცემული №827/02 მინდობილობის საფუძველზე და ფარგლებში, ერთობლივად წოდებულნი როგორც ,,მხარეები", ხოლო ცალ-ცალკე როგორც ,,მხარე"

ვხელმძღვანელობთ რა ,,სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - საქართველოს რაგბის კავშირისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 22 დეკემბრის N934 განკარგულებით განსაზღვრულისაგან განსხვავებული პირობის დადგენისა და **ა(ა)იპ - საქართველოს რაგბის კავშირის** საქმიანობის ხელშესაწყობად რიგ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 13 აგვისტოს N1733 განკარგულებითა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა (უფლებამონაცვლე სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტო) და ა(ა)იპ - საქართველოს რაგბის კავშირს შორის 2010 წლის 5 თებერვალს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებით (შემდეგში - „ნასყიდობის ხელშეკრულება");

ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1

1.1 **„ნასყიდობის ხელშეკრულებაში" შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:**

ა) **„ნასყიდობის ხელშეკრულების“ 2.1 მუხლის ,,ბ“ ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,ბ) ,,ხელშეკრულების“ გაფორმებიდან არაუგვიანეს 2017 წლის 1 იანვრისა N01.14.01.001.054 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე სათამაშო და სავარჯიშო მოედნების მოწყობა შესაბამისი ინფრასტრუქტურით (ტრიბუნა, გასახდელები, საშხაპეები, სამედიცინო მომსახურების ცენტრი) და ამის შემდგომ სპორტული პროფილის შენარჩუნება მუდმივად.“

1.2 „ნასყიდობის ხელშეკრულების“ 2.2 მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”2.2 „მყიდველი“ ვალდებულია ,,ქონებაზე“ საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის შემდგომ, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, დაიცვას ხელშეკრულებით ნაკისრი პირობები და „გამყიდველის” მოთხოვნისთანავე, მაგრამ ასეთი მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა, „გამყიდველს” წარუდგინოს ინფორმაცია „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის შესახებ“;

1.3 „ნასყიდობის ხელშეკრულების“ 2.6 მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მყიდველი“ ვალდებულია „ხელშეკრულების“ 2.1 მუხლით მუხლის ,,ბ“ ქვეპუნქტით ნაკისრი ვალდებულების შესრულების დადასტურების მიზნით „გამყიდველს“ წარუდგინოს აუდიტორული/საექსპერტო დასკვნა, რომელიც მომზადებული უნდა იყოს „საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა და სახელმწიფო საწარმოთა ნუსხის დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილებით განსაზღვრული ერთ/ერთი საექსპერტო ან/და აუდიტორული კომპანიის მიერ, რომელიც ასახავს „ხელშეკრულების“ 2.1 მუხლით მუხლის ,,ბ“ ქვეპუნქტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;“

1.4 „ნასყიდობის ხელშეკრულების“ 4.2.3 მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ხელშეკრულების“ 2.2 მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ,,გამყიდველი“ ,,მყიდველს“ გადასცემს დარღვევის ხასიათის აღმწერ წერილობით შეტყობინებას და მისცემს ,,მყიდველს“ დამატებით ვადას დარღვევის

გამოსასწორებლად, ამასთან „მყიდველს“ ეკისრება პირგასამტეხლო 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.“

მუხლი 2.

2.1. მხარეები თანხმდებიან, რომ **ა(ა)იპ - საქართველოს რაგბის კავშირი** თავისუფლდება ,,ნასყიდობის ხელშეკრულების“ 4.2.2 მუხლის საფუძველზე, წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებამდე დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან.

მუხლი 3.

3.1. ,,ნასყიდობის ხელშეკრულებაში“ წინამდებარე ხელშეკრულებით შესული ცვლილებები არ ცვლის ,,ნასყიდობის ხელშეკრულების“ სხვა მუხლების შინაარსს. ყველა სხვა მუხლებით დადგენილი მხარეთა უფლებები და მოვალეობები რჩება უცვლელი.

3.2. ,,ნასყიდობის ხელშეკრულებაში“ განხორციელებული ცვლილებები მიიჩნევა ,,ნასყიდობის ხელშეკრულების“ შინაარსის ნაწილად და მხედველობაში მიიღება ,,ნასყიდობის ხელშეკრულების“ განმარტების დროს.

3.3. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერისა და სსიპ ,,საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში” (*შემდგომში* ,,საჯარო რეესტრი”) რეგისტრაციის მომენტიდან.

3.4. მყიდველი ვალდებულია დაფაროს წინამდებარე ხელშეკრულების ,,საჯარო რეესტრში” რეგისტრაციის ხარჯი.

3.5. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამი) ეგზემპლარად, რომლებიც გადაეცემა მხარეებსა და ,,საჯარო რეესტრს“.

გამყიდველი:
სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
წარმომადგენელი:
სალომე მესხია

მყიდველი:
ა(ა)იპ - საქართველოს რაგბის კავშირი
წარმომადგენელი:

ხელშეკრულება

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ა(ა)იპ - საქართველოს რაგბის კავშირს შორის 2010 წლის 5 თებერვალს გაფორმებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისი 17 ნოემბერი, 2016 წელი

ერთი მხრივ, **სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო** (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს უფლებამონაცვლე) (შემდგომში, „გამყიდველი"), წარმოდგენილი იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის შტატგარეშე მომუშავის სალომე მესხიას (პ/ნ: №01005030011) მიერ, მოქმედი სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მიერ 2016 წლის 5 იანვარს გაცემული №4/495 მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და ფარგლებში,

მეორე მხრივ, **ა(ა)იპ - საქართველოს რაგბის კავშირი** (ს/კ 204874911) (შემდგომში, „მყიდველი"), წარმოდგენილი ედუარდ ნაჭყებიას (პ/ნ №01010015003) მიერ, ა(ა)იპ - საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის მიერ 2016 წლის 1 ნოემბერს გაცემული N161253100 მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და ფარგლებში, შემდგომში ერთად წოდებული, როგორც „მხარეები",

ვხელმძღვანელობთ რა, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - საქართველოს რაგბის კავშირისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 22 დეკემბრის N934 განკარგულებით განსაზღვრულისაგან განსხვავებული საპრივატიზებო პირობის დადგენისა და ა(ა)იპ - საქართველოს რაგბის კავშირის საქმიანობის ხელშესაწყობად რიგ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 13 აგვისტოს N1733 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 ოქტომბრის N2228 განკარგულებისა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და ა(ა)იპ - საქართველოს რაგბის კავშირს შორის 2010 წლის 5 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულებით (შემდგომში, **„ნასყიდობის ხელშეკრულება"**), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდეგში, **„ცვლილების ხელშეკრულება"**) შემდეგზე:

მუხლი 1

1.1. „ნასყიდობის ხელშეკრულებაში“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილები:

ა) „ნასყიდობის ხელშეკრულების“ 2.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2019 წლის 30 აპრილისა, 01.14.01.001.054 (მიწის (უძრავი ქონების)) საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე სათამაშო და სავარჯიშო მოედნების მოწყობა შესაბამისი ინფრასტრუქტურით (ტრიბუნა, გასახდელები, საშხაპეები, სამედიცინო მომსახურების ცენტრი) და ამის შემდგომ სპორტული პროფილის შენარჩუნება მუდმივად“.

ბ) „ნასყიდობის ხელშეკრულების“ 2.5. და 2.6. მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2.5. „გამყიდველი“ ვალდებულია, „მყიდველის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესაბამისი ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში წერილობით დაადასტუროს ვალდებულების სრულად ან მისი ნაწილის შესრულების მიღება, რაც „რეესტრში“ შესაბამისი ვალდებულების მოხსნის ან მასში ცვლილების რეგისტრაციის საფუძველია.

2.6. „მყიდველი“ ვალდებულია „ხელშეკრულების“ 2.1. მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით ნაკისრი ვალდებულების შესრულების დადასტურების მიზნით, აღნიშნული ვალდებულების შესრულების ვადის (2019 წლის 30 აპრილი) ამოწურვიდან 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღის განმავლობაში „მესაკუთრეს“ წარუდგინოს აუდიტორული/საქესპერტო დასკვნა, რომელიც უნდა შეიცავდეს რწმუნებას შესაბამისი ვალდებულებ(ებ)ის შესრულების თაობაზე, ხოლო „ხელშეკრულების 2.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოედნის მოწყობის ვალდებულების შესრულებიდან, ყოველ 3 (სამი) წელში ერთხელ მაინც, სპორტული პროფილის მუდმივად შენარჩუნების ვალდებულების დადასტურების მიზნით „მესაკუთრეს“ წარუდგინოს აუდიტორული/საქესპერტო დასკვნა, რომელიც უნდა შეიცავდეს რწმუნებას შესაბამისი ვალდებულებ(ებ)ის შესრულების თაობაზე და გაცემული უნდა იყოს:

ა) 2017 წლის 1 იანვრიდან - 2018 წლის 1 იანვრამდე - „საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა და სახელმწიფო საწარმოთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილებით დამტკიცებულ „საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა ნუსხაში“ (შემდგომში - ნუსხა) მითითებული ერთ-ერთი აუდიტორული ფირმის მიერ რომელსაც „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე მიენიჭა დროებითი უფლებამოსილება.

ბ) 2018 წლის 1 იანვრიდან - „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული აუდიტორულ ფირმის მიერ.

გ) გარდა „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, „ნუსხაში“ მითითებული ნებისმიერი აუდიტორული/საექსპერტო კომპანიის მიერ 2017 წლის 1 მარტამდე გაცემული აუდიტორული/საექსპერტო დასკვნის საფუძველზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „ნუსხაში“ მითითებულ შესაბამის აუდიტორულ/საექსპერტო კომპანიასა და მყიდველს შორის ამავე აუდიტორული/საქსპერტო დასკვნის მომზადების თაობაზე ხელშეკრულება დადებულია 2017 წლის 1 იანვრამდე. ამასთან, მყიდველის მიერ ამ პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი აუდიტორულ/საექსპერტო დასკვნა უნდა შეიცავდეს რწმუნებას შესაბამისი ვალდებულების შესრულების თაობაზე“.

გ) „ნასყიდობის ხელშეკრულების“ მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 4.2.5. მუხლი:

„4.2.5. „ხელშეკრულების“ 2.6. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „მყიდველს“ ეკისრება პირგასამტეხლო 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე“.

დ) „ნასყიდობის ხელშეკრულების“ 6.2. მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6.2. „მყიდველი“ ვალდებულია, შეატყობინოს „გამყიდველს“ მის საიდენტიფიკაციო მონაცემებში ნებისმიერი ცვლილების, მათ შორის, მისამართის ცვლილების შესახებ, ამგვარი ცვლილების განხორციელებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა. წინააღმდეგ შემთხვევაში

„გამყიდველის“ მიერ „მყიდველის“ ძველ მისამართზე გაგზავნილი ნებისმიერი კორესპონდენცია, მათ შორის, წერილობითი გაფრთხილება, ჩაითვლება ჩაბარებულად“.

მუხლი 2

2.1. „ნასყიდობის ხელშეკრულებაში” წინამდებარე „ცვლილების ხელშეკრულებით“ შესული ცვლილებები არ ცვლის „ნაყიდობის ხელშეკრულების” სხვა მუხლების შინაარსს.

2.2. „ნასყიდობის ხელშეკრულებაში” წინამდებარე „ცვლილების ხელშეკრულებით“ განხორციელებული ცვლილებები მიიჩნევა „ნასყიდობის ხელშეკრულების” შინაარსის ნაწილად და მხედველობაში მიიღება მისი განმარტების დროს.

2.3. წინამდებარე „ცვლილების ხელშეკრულება“ გაფორმებულად ითვლება მისი ხელმოწერის მომენტიდან.

2.4. „მყიდველი“ ვალდებულია დაფაროს წინამდებარე „ცვლილების ხელშეკრულების“ სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ რეგისტრაციის ხარჯი, აგრეთვე, მის გაფორმებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯ(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

2.5. წინამდებარე „ცვლილების ხელშეკრულება“ შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამი) ეგზემპლარად, რომლებიც გადაეცემა „მხარეებს“ და „საჯარო რეესტრს“.

„გამყიდველი”
სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
წარმომადგენელი:
სალომე მესხია

„მყიდველი”
ა(ა)იპ - საქართველოს რაგბის კავშირი
წარმომადგენელი:

ედუარდ ნაჭყებია